

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, შედგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის აკაკი დარჯანიას

## ანგარიში

30 ოქტომბერი 2017 წელი.

ანგარიში მოიცავს 2016 წლის 31 ოქტომბრიდან 2017 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს.

როგორც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვახორციელებდი შემდეგ საქმიანობას:

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირებაში მონაწილეობა;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა;
- დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;
- ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა.

1) შედგა შეხვედრები სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში. ადგილზე მისვლით დათვალიერდა დაწესებულებების ბალანსზე არსებული ინფრასტრუქტურა. მოეწყო შეხვედრა გაერთიანების ხელმძღვანელებთან (გამგებთან და პედაგოგებთან).

2) ყოველდღიურ რეჟიმში ხდება შეხვედრები სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან.

3) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მიმდინარეობს ახალ პროექტებზე მუშაობა, კერძოდ ემერჯენსის სამსახურის შექმნა, ახალგაზრდული ცენტრის ჩამოყალიბება და დღის ხანდაზმულთა ცენტრის შექმნა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიღებული მაქვს საკრებულოს 34 დადგენილებისა და 80 განკარგულების პროექტის განხილვაში.

პერიოდულად ვხდებოდი ამომრჩეველებს, სოციალურ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ პრობლემებისა და სხვა საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრი

აკაკი დარჯანია